ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1853675

ნომერი: AR1302590

თარიღი : 17.04.2015

გაცემის თარიღი : 22.04.2015

გაცნობის თარიღი : 22.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ.წამებული , /ბოჭორმის ქ. N50/18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ გეგეშიძე პ/ნ 01008042950
- ტ.ტაბიძის 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" - "საკადასტრო ერთეული" - "საკადასტრო ერთეულის დამატების" ველში მიუთითეთ სარეკონსტრუქციო ფართის საკადასტრო კოდი წილობრივი მონაცემებით (თქვენს მიერ ამ ეტაპზე მითითებულია მხოლოდ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი).

2. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის წარმოუდგენლობის გამო ვერ დგინდება სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრის ვინაობა. გაითვალისწინეთ: არქიტექტურის სამსახურს განმცხადებლის/თანაგანმცხადებლის სახით უნდა მომართოს სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრემ/მესაკუთრეებმა ან მისი/მათი მინდობილობა ატვირთული უნდა იყოს "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში.

3. კონდენციონერები მოეწყოს ფასადზე გამავალი არსებული საწვიმარი მილის დაუზიანებლად, აღნიშნულის შესაბამისად განახლდეს დოკუმენტაცია და კონდენციონერების განთავსების არეალი არ ასცდეს სარეკონსტრუქციო ფართის ფასადს.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.